

საბავშვო წიგნის ფესტივალი საქართველოში

*სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერებათა
და ხელოვნებისფაკულტეტზე (შესაბამისი)
მაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად*

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიეროხელმძღვანელი: თეონა კახიძე, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებისა
მეცნიერებათა დოქტორი

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი

2014

სარჩევი

ანოტაცია	გვ.3
შესავალი	გვ.4
I თავი. საბავშვო წიგნის ფესტივალი დაარსებიდან დღემდე	გვ.6
II თავი. საბავშვო ლიტერატურის გავითარების ფონდი „ლიბო“	გვ.8
III თავი. საბავშვო წიგნის I ფესტივალი	გვ.13
IV თავი. საბავშვო წიგნის II ფესტივალი	გვ.14
V თავი. საბავშვო წიგნის III ფესტივალი	გვ.16
VI თავი. საბავშვო წიგნის III ფესტივალის გამარჯვებული „პალიტრა L“.	გვ.22
VII თავი. საბავშვო ლიტერატურასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები. ლიტერატურული პრემია საბავშვო მწერლებისათვის	გვ.24
VIII თავი. სოკომორო და სანტა-ესპერანსა საბავშვო წიგნის დღისათვის	გვ.28
IX თავი. ყველაზე პოპულარული საბავშვო წიგნები საქართველოში	გვ.29
დასკვნა	გვ.32
გამოყენებული ლიტერატურის (ვებ. გვერდების) სია	გვ.33

ანოტაცია

წინამდებარე სადიპლომო ნაშრომში განხილულია საბავშვო წიგნის ფესტივალები საქართველოში. დღეისათვის ასეთი ფესტივალი ერთია, თუმცა არსებობენ ფონდები, რომლებიც ამავე საქმეს _ საბავშვო წიგნის გავითარებას ემსახურებიან.

წიგნი უმნიშვნელოვანესი რამ არის ადამიანის ცხოვრებაში და მით უფრო მნიშვნელოვანია იგი ბავშვისათვის. მოზარდი ყალიბდება გარკვეულ ასაკში და სწორედ ამ პერიოდში აუცილებელია, მისი სულიერი საზრდო იყოს წიგნი, რაც უდაოდ სწორ მიმართულებას მისცემს მის შემდგომ ცხოვრებას.

სწორედ ამ მიზნით ავირჩიე სადიპლომო შრომის თემად საბავშვო წიგნის ფესტივალები. როგორც ჩანს, ამ ფესტივალს საქართველოში მომავალი აქვს, რაც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს და ერთი მრავლად იქცევა.

ამაზე ზრუნავს ჩვენი ქვეყნის სულიერი წინამძღვარი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომლის ლოცვა-კურთხევითაც ტარდება აღნიშნული ფესტივალი. პატრიარქისათვის უმნიშვნელოვანესია მომავალი თაობის აღზრდის საქმე, რაც ჩვენი ქვეყნის მომავლის საფუძველი და საძირკველია. ამ საქმეში მას გვერდით უდგას ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე, რომელსაც ფესტივალის კიდევ უფრო აღორძინებაში ეხმარებიან ქვეყნის მომავლით დაინტერესებული ადამიანები., რომელთაც თემის განხილვისას უფრო ახლოს შევეხებით.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, ანოტაციას, შესავალს, ძირითად თემას, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის სიას.